



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 210

2013 წლის 31 დეკემბერი

ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ და „ღ“ პუნქტების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებში დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამა“ (თან ერთვის).
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის 2014 წლის პირველი იანვრიდან.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური მერაბ კოსტავას ქ.#15).

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე



დანართი

1.	პროგრამის სათაური	ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ
2.	პროგრამის მიზანი	ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილისა და სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მოსწავლეებისათვის მუსიკალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა
3.	პროგრამის რეგულირების სფერო	დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მუსიკალური განათლების ხელმისაწვდომობა
4.	პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე, ბენეფიციარები	დევნილის სტატუსის მქონე მოსწავლეები და მოსწავლეები იმ ოჯახებიდან, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 70 000 ქულას
5.	ბენეფიართა რაოდენობა	170 მოსწავლე
6.	პროგრამის მოქმედების ვადა	ერთი წელი
7.	პროგრამის დაწყების თარიღი	01.01.2014 წ.
8.	პროგრამის დასრულების თარიღი	31.12.2014 წ.
9.	თვეში ერთი მოსწავლის დაფინანსების თანხა	12ლარი
10.	პროგრამის ბიუჯეტი	20 400 ლარი
11.	დაფინანსების წყარო	ხაშურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი
12.	პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე	მარტივი
13.	მუნიციპალური პროგრამის განხორციელების მექანიზმი	საბიუჯეტო წლის დასაწყისში სახელოვნებო სკოლების დირექციები გამგეობას წარუდგენენ პროგრამის მე-4 პუნქტის სტატუსის მქონე მოსწავლეების პერსონალურ სიებს სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების თანდართვით. ასევე ცნობას ყოველი თვის 20 რიცხვისათვის დასაფინანსებელი კონტიგენტისა და მასში მომხდარი ცვლილებების შესახებ
14.	გადაწყვეტილების მიმღები პირი	მუნიციპალიტეტის გამგებელი

პროგრამის ადმინისტრირების (მისი მართვის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის)  
წესები და პირობები

განაცხადის მიღებაზე პასუხისმგებელი  
პირი/ორგანო

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

განცხადების დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
პირი/ორგანო

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

საქმის განხილვაზე პასუხისმგებელი  
პირი/ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის სამსახური

გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაზე  
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის სამსახური

გადაწყვეტილების პროექტის ვიზირებაზე  
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგებლის მოადგილე, საბიუჯეტო დაგე-  
გმვის მოსაკრ. ადმინისტრ. და საფინ. ზედამხ.  
სამსახური;

პროგრამის ზედამხედველობაზე პასუხის-  
მგებელი პირი/ორგანო

სოციალური სფეროს კურატორი გამგებლის  
მოადგილე

პროგრამის პერიოდული მონიტორინგზე  
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის სამსახურის უფროსი